

საბავშვო ბიბლია  
წარმოგიდგენთ

იესოს  
დაბადება



ავტორი: Edward Hughes

ილუსტრატორი: M. Maillot  
Alastair Paterson

ადაპტირება: E. Frischbutter; Sarah S.

მთარგმნელი: Christian Lingua

პროდიუსერი: Bible for Children  
[www.M1914.org](http://www.M1914.org)

©2020 Bible for Children, Inc.

ლიცენზია: თქვენ გაქვთ უფლება, დაბეჭდოთ ეს ტექსტი  
ან გადაიღოთ მისი ასლი იმ შემთხვევაში, თუ მას არ გაყიდით.



დიდი ხნის წინათ, ღმერთმა  
მშვენიერ ახალგაზრდა ებრაელ  
ქალწულს, სახელად მარიამს,  
ანგელოზი გაბრიელი  
მიუვლინა.



მან უთხრა მას: „შენ გეყოლება  
ძე და უწოდებ სახელად იესოს.  
უზენაესის ძედ იწოდება იგი.  
საუკუნოდ იმეფებს იგი.“



„როგორ იქნება ეგ?” - ჰკითხა  
განცვიფრებულმა გოგონამ.  
„მე არ ვყოფილვარ მამაკაცთან.”  
ანგელოზმა უთხრა  
მარიამს, რომ ბავშვი  
ღმერთისგან  
ეყოლებოდა.  
არ იქნებოდა  
ადამიანი  
მამა.



ანგელოზმა შემდეგ  
უთხრა მარიამს, რომ  
მისი ნათესავი  
ელისაბედი შობდა  
შვილს სიბერის ჟამს.  
ესეც სასწაული იყო.  
ამის შემდეგ, მალე  
მარიამი ელისაბედს  
ესტუმრა და ერთად  
ადიდეს უფალი.



მარიაში დანიშნული  
იყო კაცზე, სახელად  
იოსებზე. იოსები  
დამწუხრდა, როცა  
გაიგო, რომ მარიაში  
ბავშვს ელოდა.  
მას ეგონა, რომ  
ვიღაც სხვა  
კაცი იყო მამა.



სიზმარში, უფლის ანგელოზმა  
აუწყა იოსებს, რომ მისი შვილი  
ღმერთის ძე იყო. იოსები  
მარიამს უნდა დახმარებოდა  
იესოზე ზრუნვაში.





იოსებმა ირწმუნა ღმერთის და დაემორჩილა მას.  
ის ასევე ემორჩილებოდა  
თავისი ქვეყნის  
კანონებს.



ახალი კანონის გამო, ის და მარია მი თავიანთ  
მშობლიურ ქალაქში,  
ბეთლემში გაემგ  
ზავრნენ, რათა  
გადასახადები  
გადაეხადათ.





მარიამი მზად  
იყო, გაეჩინა ბავშვი.  
მაგრამ იოსებმა  
ვერსად იპოვა ოთახი.  
ყველა სასტუმრო  
სავსე იყო.



იოსებმა საბოლოოდ იპოვა ბოსელი. იქ იშვა ჩვილი  
იესო. დედამისმა იგი ბაგაში ჩააწვინა, იმ ადგილას,  
სადაც, როგორც წესი  
ცხოველების  
საჭმელს  
ყრიან.



იქვე, ახლოს, მწყემსები თავიანთ მძინარე ფარას  
დარაჯობდნენ. უფლის ანგელოზი  
ეჩვენა მათ და უთხრა ეს საოცარი

ახალი  
ამბავი.



„დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი,  
რომელიც არის ქრისტე უფალი.  
იპოვით ყრმას მწოლარეს ბაგაში”.



უცრად, კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალე  
ანგელოზი გამოჩნდა, ადიდებდნენ  
ღმერთს და ამბობდნენ:



„დიდება მაღალთა შინა ღმერთს,  
მშვიდობა ქვეყნად და სათნოება  
კაცთა შორის”.





მწყემსებმა ბოსელს მიაშურეს.  
ყრმის დანახვის შემდეგ, მათ  
ყველას გააგებინეს, რომ ნახეს,  
რაც იესოს შესახებ ეუწყათ.





40 დღის შემდეგ,  
იოსებმა და მარიამმა  
იესო იერუსალიმის  
ტაძარში მიიყვანეს.  
იქ კაცმა, სახელად  
სიმონმა, ადიდა  
ღმერთი ყრმის გამო,  
მაშინ როდესაც  
მოხუცმა ანამ,  
უფლის კიდევ  
ერთმა მსახურმა  
მადლობა შესწირა.





ორივემ იცოდა,  
რომ იესო ღმერთის  
ძე, აღთქმული  
მაცხოვარი იყო.  
იოსებმა მსხვერპლად  
ორი ჩიტო შესწირა. ეს  
იყო ღარიბებისთვის  
დაწესებული  
შესაწირავი, რომელიც  
უნდა მოეტანათ  
ახალშობილის  
წარდგენისას  
უფლისთვის  
ღმერთის რჯულის  
თანახმად.



გარკვეული  
ხნის შემდეგ,  
განსაკუთრებული  
ვარსკვლავი  
წარუძღვა

აღმოსავლეთის  
ქვეყნიდან იერუსალიმში ბრძენ  
კაცებს. „სად არის იუდეველთა  
ახალშობილი მეფე?“ - იკითხეს  
მათ. „გვინდა, თაყვანი ვცეთ მას“.



მეფე ჰეროდემ გაიგო  
ბრძენკაცთა შესახებ.  
შეძრწუნებულმა  
სთხოვა მათ, ეთქვათ,  
როდის იპოვეს იესო.  
„მეც მინდა თაყვანი  
ვცე მას“, თქვა ჰეროდემ.  
მაგრამ ის იტყუებოდა.  
ჰეროდეს იესოს  
მოკვლა  
სურდა.




ვარსკვლავი მიუძღოდა ბრძენ კაცებს  
ზუსტად იმ სახლამდე, სადაც მარიაში  
და იოსები ცხოვრობდნენ  
ყრმასთან ერთად. მგზავრები  
დაემხნენ და თაყვანი  
სცეს მას, მიართვეს იესოს  
მდიდრული  
ძღვენი: ოქრო  
და გუნდრუკი.



ღმერთს სურდა, რომ ბრძენი  
კაცები შინ ფარულად  
დაბრუნებულიყვნენ.  
ჰეროდე განრისხდა. იესოს  
განადგურების მიზნით,  
უკეთურმა მმართველმა

ყოველი  
ყრმა



ამოწყვიტა ბეთლემში.





მაგრამ ჰეროდეს  
არ შეეძლო რაიმე  
დაეშავებინა ღმერთის  
ძისათვის! სიზმარში  
გაფრთხილებულმა  
იოსებმა მარიამი და  
იესო უსაფრთხო  
ადგილას წაიყვანა  
ეგვიპტეში.





როდესაც ჰეროდე  
მოკვდა, იოსებმა  
უკან დააბრუნა  
მარიამი და იესო  
ეგვიპტიდან.



ისინი ნაზარეთის პატარა ქალაქში  
ცხოვრობდნენ, გალილეის ზღვის მახლობლად.



იესოს დაბადება

ამბავი ღმერთის სიტყვებიდან, ბიბლიიდან,

გადმოცემულია

მათე 1-2, ლუკა 1-2

„შენი სიტყვების კარიბჭე შობს ნათელს.“  
ფსალმუნები 119:130



დასასრული



ეს ბიბლიური ისტორია მოგვითხრობს ჩვენს საკვირველ ღმერთზე,  
რომელმაც შეგვქმნა და სურს, რომ ვიცნობდეთ მას.

ღმერთმა იცის, რომ ჩვენ გაგვიკეთებია ცუდი რამეები,  
რომლებსაც ის ცოდვას უწოდებს. სასჯელი ცოდვისთვის  
სიკვდილია, მაგრამ ღმერთს იმდენად უყვარხარ, რომ მან  
ჯვარცმისა და შენი ცოდვების გამოსასყიდად გამოგზავნა თავისი  
ერთადერთი ძე, იესო. შემდეგ იესო გაცოცხლდა და დაბრუნდა  
სამოთხეში! თუ შენ იწამებ იესოს და სთხოვ მას საკუთარი  
ცოდვების შენდობას, ის ამას გააკეთებს! ის მოვა და იცხოვრებს  
შენში ახლავე და შენ იცხოვრებ მასთან სამუდამოდ!

თუ გწამს, რომ ეს მართალია, უთხარი ეს ღმერთს:  
უფალო იესო, მწამს, რომ შენა ხარ ღმერთი და მოხვედი კაცად,  
რათა ჩემი ცოდვებისთვის მომკვდარიყავი და ახლა ისევ ცოცხლობ.  
გთხოვ, შემოდი ჩემს ცხოვრებაში და მომიტევე ჩემი ცოდვები, რათა  
ახალი ცხოვრების დაწყება შევძლო და ერთ დღესაც დავმკვიდრდე  
შენთან სამარადისოდ. შემეწიე, რათა დაგემორჩილო შენ და  
ვიცხოვრო შენთვის, როგორც შენმა შვილმა. ამინ.

იკითხე ბიბლია და ესაუბრე ღმერთს ყოველდღე! იოანე 3:16

